



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 033/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

გურამ ლექვინაძე (სტუდენტი)

ფაქტები:

ადვოკატმა (შემდგომში - „საჩივრის ავტორი“) მიმართა ეთიკის კომისიას თავისი მარწმუნებლის პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატისადმი (შემდგომში - „ადვოკატი“) დისციპლინური სახდელის დაკისრების მოთხოვნით. საჩივრის ავტორი წარმოადგენდა მოპასუხის ინტერესებს, რომლის სასარგებლოდაც სასამართლოში წარადგინა შესაგებელი. ადვოკატმა წარმოადგინა სამართლებრივი დოკუმენტი, სათაურით „მოსარჩელის მოსაზრებები მოპასუხის შესაგებელზე“, რომელიც გადაუგზავნა საჩივრის ავტორსა და მის მარწმუნებელს. დოკუმენტი შეიცავდა შემდეგ ფრაზებს: „ბალზაკმა თქვა, სულელის გვერდით, ყოველთვის მოიძებნება თაღლითი“; „აღბათ დამეთანხმებით, ხომ უნდა გავარკვიოთ, თქვენ ბრძანდებით უბრალოდ ცრუპენტელა, თუ შეგყვანეს შეცდომაში, თუ პირველია, მომილოცავს, ღმერთმა მოგახმაროთ“; „ვერ ვხვდებოდი და სულ მაინტერესებდა, რატომ დაწერა ეს შესაგებელი იურისტმა - ადვოკატმა და გაუგზავნა მეორე კვალიფიცირებულ იურისტს - მოსამართლეს? მაგრამ შემდეგ გამახსენდა მარკიზ დე ვოვენარგის სიტყვები „სულელი ყოველთვის დარწმუნებულია, რომ მასზე უკეთესად ვერავინ გაცრუებს ჭკვიან ადამიანს“; „...ვერ ვგებულობთ, რატომ ხართ ასეთი უღმერთოები...“; „რა გითხრათ ამაზე ბატონო ადვოკატო, წავიკითხე თქვენი პასაჟი და გამახსენდა ფრანგი მწერლის პიერ დანიონის სიტყვები: ის არც ისე სულელია, როგორც გამოიყურება, ის უფრო დიდი სულელიაო“ „...თუ მოპასუხეს ღმერთმა ასეთი ადვოკატი გამოუგზავნა, როგორც თქვენ ბრძანდებით, აუხსენით მას... ასეთ სპეციალისტთან როგორც თქვენ ბრძანდებით, ეს არ გაუჭირდება“; ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებით უარყო საჩივარი და აღნიშნა, რომ დოკუმენტი შეიცავდა საღ იურიდიულ ლოგიკას რომელიც მიმართული იყო მოსარჩელის ინტერესების დასაცავად. ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ახსნა-განმარტება შეიცავდა შემდეგ ფრაზებს: „...გამახსენდა კარლო ჩიპოლას „სიბრყველის ხუთი კანონი“, მოუწოდებდი მოპასუხის ადვოკატს გაცნობოდა ამ „კანონებს“; „ჩემი აზრით, რაც ადვოკატს სჭირს არის ნარცისიზმი, ნარცისიზმი ეგოიზმის, მედიდურობისა და პატივმოყვარეობის პიროვნული თვისებაა... ნარცისი იყო პათოლოგიურად ეგოცენტრული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც აუზში თავისი ანარეკლი შეუყვარდა. ბევრი ექსპერტის აზრით, ნარცისიზმის პათოლოგიის სიმპტომია ობიექტურობისა და გონიერი განსჯის 7 უკმარობა“; საჩივრის ავტორის აზრით, ჩვენ ყველა უნდა ვამაყობდეთ, რომ ვცხოვრობთ ერთ ეპოქაში ამ უდიდეს და უძლიერეს იურისტთან ერთად, ვსუნთქავთ მასთან ერთად ერთ ჰაერს და დავდივართ ერთ მიწაზე. დაე, ვიამაყოთ. მაგრამ მე რატომღაც მრცხვენია, რომ ჩვენ ორივე ვართ ადვოკატები“.

პროცესუალური ისტორია:

საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე. კოლეგიამ დაადგინა რომ ადვოკატის მიერ შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა

¹ გადაწყვეტილება 033/18, თარიღი 30.01.2019

<https://gba.ge/pdf/5d838d6761c01.pdf/033.18%20%20gaftrtileba.pdf>

პროფესიული ეთიკის კოდექსით“ გათვალისწინებული კოლეგიალობის პრინციპი და „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5 მუხლის გ) ქვეპუნქტი.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიამ განმარტა რომ ადვოკატის მიერ დარღვეულია კოლეგიალობის პრინციპი და პროცესის მონაწილეთა პატივისცემის სავალდებულობა. ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები შინაარსობრივად რიტორიკული ხასიათისაა და მიმართულია საჩივრის ავტორის მისამართით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ მითითებული გამონათქვამების გამოყენება არ გამომდინარეობდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან და ობიექტური აღქმის საფუძველზე გასცდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს. ადვოკატს შეეძლო სხვაგვარად ჩამოეყალიბებინა თავისი პოზიცია კოლეგიალობის პატივისცემის გათვალისწინებით. ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ **წარმოდგენილი ფრაზები გასცდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებს და არ შეჰქვია მხარეებს შორის სადავო საქმის თაობაზე ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას.**

ეთიკის კომისია წარმოადგენს კვაზი სასამართლოს, ახორციელებს სასამართლოს მსგავს ფუნქციას და ადვოკატს, როგორც სასამართლოში მოქმედი ქცევის წესების დაცვა ევალება, იგივე ვალდებულება აქვს ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოებისას. ადვოკატის მიერ როგორც სასამართლოში, აგრეთვე, ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ფრაზები, არ ემსახურება მართლმსაჯულების განხორციელების მიზანს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ზემოაღნიშნული ფრაზების მითითება, არ გამომდინარეობს პროფესიული ვალდებულების შესრულებიდან და ამგვარი გამონათქვამები არ არის კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების პროპორციული.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ განსაზღვრა, რომ ადვოკატმა დაარღვია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტი ასევე „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-7, მე-10.1. მუხლები. დისციპლინური სახდელის ფორმად ადვოკატისათვის განისაზღვრა, გაფრთხილება.